PDF Eraser Free

დანართი №2

სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ნანა შარაბიძე

წევრი:

მანანა კობალაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №450003 (09.06.2020წ.) ბრძანებით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში - ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (თავმჯდომარე);
2. მანანა კობალაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - კოლეჯის „ოპიზარი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტი განხორციელდა სსიპ - კოლეჯ „ოპიზარში“ 2020 წლის 3 ივლისს ქ. ახალციხეში.

ვიზიტი წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის მიხედვით წარიმართა. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა საგამნამათლებლო პროგრამის განხორციელებისთის საჭირო მარეგულირებელი დოკუმენტები, საგანმანათლებლო სივრცეები და მათი აღჭურვილობა, საგანმანათლებლო რესურსების საბიბლიოთეკო სივრცეში არსებობა, პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი დაწესებულებები. შეისწავლა პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის და მასწავლებლების პირადი საქმეები და მათთან დადებული ხელშეკრულებები, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიულ მასწავლებლებს და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენლს.

ჯგუფმა შეაჯამა ვიზიტის პერიოდში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები, რომლებიც გააცნო კოლეჯის ადმინისტრაციას და ყველა დაინტერესებულ პირს (თანამშრომლებს).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

-

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ქვესტანდარტი 1.1. (ავტორიზაციის დებულება მუხლი 6/პუნქტი ა)-**შესრულებულია**

ქვესტანდარტი 1.3. (ავტორიზაციის დებულება მუხლი 6/პუნქტი გ)-**შესრულებულია**

დუალური მიდგომით განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამიდან „სასტუმრო საქმე“ ამოღებულია მოდული „საწარმოო პრაქტიკა“ - ბრძ. N 77; 06.08.2019წ.

ქვესტანდარტი 1.1. (ავტორიზაციის დებულება მუხლი 6/პუნქტი ა)-**შესრულებულია**

ვებტექნოლოგიების პროგრამაში შეტანილია ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამაში ასახულია ინფორმაცია არჩევითი მოდულის შესახებ-ბრძ. N 77; 06.08.2019წ.

ქვესტანდარტი 1.2. (ავტორიზაციის დებულება მუხლი 6/პუნქტი ბ)-**შესრულებულია**

პროგრამების კატალოგში გაწერილია თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები და შეფასების წესი.

ქვესტანდარტი 1.4. (ავტორიზაციის დებულება მუხლი 6/პუნქტი დ)-**შესრულებულია**

სსიპ კოლეჯ „ოპიზარის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ მე-12 მუხლის, 12.9 პუნქტს დაემატა ლ) ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდა რედაქციით „არასრულწლოვანმა სხვა დოკუმენტებთან ერთად უნდა წარმოადგინოს დაბადების მოწმობის ასლი და მისი წარმომადგენლის (მშობელი/მეურვე) პირადობის მოწმობის ასლი, რომლითაცდასტურდებაკანონიერი წარმომადგენლობა“ -ბრძ. N 78; 06.08.2019წ ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ქვესტანდარტი 2.9. (ავტორიზაციის დებულება მუხლი 7/პუნქტი ი)-**შესრულებულია ნაწილობრივ** დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა წინა ვიზიტის დროს გაიცა რეკომენდაცია: „სტრატეგიული განვითარების გეგმაში სტრატეგიულ მიზნებთაან და ამოცანებთან ერთად გაწერილია შესრულების ინდიკატორები პასუხისმგებელი პირები და ანგარიშგების პერიოდი თუმცა სასურველია შესრულების ინდიკატორები ამოცანებიდან გამომდინარე უფრო მეტად დაკონკრეტდეს და გახდეს გაზომვადი. 2019 წლის ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმა არ იძლევა გაზომვად, კონკრეტულ, მიღწევადი მიზნების შესაბამის ინდიკატორებისა და ინფორმაციის წყაროებს, რომელიც კოლეჯს ისცემს შესაძლებლობას დაინახოს პროგრესი. შესაბამისად სასურველია გაიწეროს გაზომვადი და მიღწევადი ინდიკატორები“ გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებამ ნაწილობრივ გაითვალისწინა რეკომენდაციები, სამოქმედო გეგმაში შეტანილია მიზანი, გასატარებელი ღონისძიებები, ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი, შესრულების ინდიკატორი და შესრულების სავარაუდო პერიოდი, შეცვალა შესრულების ინდიკატორის ფორმულირება, თუმცა მაინც არ არის გაზომვადი.

ქვესტანდარტი 3.1. (ავტორიზაციის დებულება მუხლი 8/პუნქტი ა)-**შესრულებულია**

ქვესტანდარტი 3.2. (ავტორიზაციის დებულება მუხლი 8/პუნქტი ა)-**შესრულებულია**

პერსონალის პირადი საქმეები მოწესრიგებულია, მათში განთავსებულია რეგულაციით გაწერილი ყველა დოკუმენტი.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ინდიკატორი 1.2.1.3

სტრატეგიულ გეგმა (2019-2025წ.წ.) **არ მოიცავს სტრატეგიული მიზნის მისაღწევად შესასრულებელ ამოცანებს**, რასაც გავყავართ ავტორიზაციის პირველი სტანდარტის დარღვევაზე, ამიტომ დაწესებულებამ სტრატეგიული გეგმა უნდა მოიყვანოს 1.2.1 კომპონენტის მე-3 ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

ინდიკატორი 4.1.1.3

დაწესებულებამ ვერიფიკაციის მექანიზმი შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ავტორიზაციის სტანდარტის 4.1.1. კომპონენტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

დაწესებულების მიერ დამტკიცებული რეგულაციით - „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესი“ - იკვეთება ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტის დარღვევა, არაა დაცული ინტერესთა კონფლიქტი, ხარისხის მართვის მენეჯერი არ უნდა იყოს ჩართული შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების პროცესში სწავლის შედეგების დადასტურებამდე, ხარისხის მართვის მენეჯერმა უნდა შეასრულოს მაკონტროლებელის ფუნქცია, ასევე საკუთარი შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში არ უნდა იყოს ჩართული მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია

საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსის ჩამონათვალით განსაზღვრული ერთ ნემსიანი მაქური გვირისტის უნივერსალური საწარმოო საკერავი მანქანის ნაცვლად დაწესებულების C გარემოში წარმოდგენილი იყო საყოფაცხოვრებო საკერავი მანქანები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სწავლის შედეგებზე გასვლას. დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ადრეც სურდათ უნივერსალური საწარმოო საკერავი მანქანების შეძენა, მაგრამ COVID-19 გავრცელების შედეგად შექმნილი ვითარების გამო, ვერ მოხერხდა შესყიდვების პროცესის განხორციელება, თუმცა მომწოდებელ კომპანიასთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს და სასწავლო პროცესში აღნიშნული საკერავი მანქანების გამოყენების აუცილებლობის დადგომამდე (სავარაუდოდ ექვს თვეზე ნაკლებ დროში) შეძლებენ საჭირო მანქანების შეძენას, რათა საფრთხე არ შეექმნეს პროგრამის განხორციელებას.

2.2.1.1; 2.4.1.5 რეკომენდაცია მიეცეთ დაწესებულებამ შეიძინოს დანართი №1-ით „სასწავლო გარემოს და მინიმალური მატერიალური რესურსი“ განსაზღვრული, 14 ცალი ერთ ნემსიანი მაქური გვირისტის უნივერსალური საწარმოო საკერავი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
მანქანა-დაწესებულების C გარემოში სასწავლო პროცესში მათი გამოყენების აუცილებლობის დადგომამდე (სავარაუდოდ ექვს თვეზე ნაკლებ დროში).
ამასთანავე, ვინაიდან პრატიკის ობიექტი (მისი მცირე სიმძლავრის გამო) ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგის სრულად მიღწევას, ასევე შესაძლებელი იქნება მოდულის „საწარმოო პრაქტიკა“ ადგილზე, დაწესებულების C გარემოში გავლა.
კომპონენტი 2.4.2.
რეკომენდაცია მიეცეთ დაწესებულებამ გადახედოს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესში“ გაწერილ ვერიფიკაციის მექანიზმს და ვერიფიკაციის პროცესის ქმედითობისათვის გამიჯნოს ვერიფიკაციის ეტაპებისთვის პასუხისმგებელი პირები.

განვითარების რეკომენდაციები

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას **ქვესტანდარტი 2.9.** (ავტორიზაციის დებულებია მუხლი 7/პუნქტი ი) (შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები) გაცემული რეკომენდაცია გათვალისწინებული აქვს ნაწილობრივ, კერძოდ სამოქმედო გეგმაში შეტანილია მიზანი, გასატარებელი ღონისძიებები, ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი, შესრულების ინდიკატორი და შესრულების სავარაუდო პერიოდი, **შეცვალა შესრულების ინდიკატორის ფორმულირება, თუმცა მაინც არ არის გაზომვადი, რეკომენდებულია დაწესებულებამ გადახედოს ინდიკატორებს და გახადოს გაზომვადი.**

2.4.2 რეკომენდაცია მიეცეთ მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ ფარგლებში განხორციელდეს გასვლითი (რეგიონის გარეთ) მიზნობრივი ექსკურსია სამკერვალო საწარმოში, ვინაიდან რეგიონში არ არსებობს ამის შესაძლებლობა.

2.4.1.5 რეკომენდაცია მიეცეთ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში განახორციელონ ცვლილება და მოდულის „რაოდენობრივი წიგნიერება“ სწავლება დაიწყონ არა 39 კვირიდან, არამედ 1კვირიდან, რათა მოდულის „ქალის ტანსაცმლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

კონსტრუირება და მოდელირება“ დაწყებამდე მოხდეს მოდულის „რაოდენობრივი წიგნიერება“ გარკვეული სწავლის შედეგების მიღწევა.

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	სამკერვალო წარმოება
პროფესიული განათლების დონე	მესამე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში/Basic Vocational Qualitification in Sewing Industry
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ კოლეჯის ,,ოპიზარი“ დირექტორის №24 ბრძანება, 29.05.2020 წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. ახალციხე რუსთაველის ქ. №111
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	42 სტუდენტი, მოდულური, ქ. ახალციხე რუსთაველის ქ. №111
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება შეესაბამება კოლეჯის მისიას და 2019-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომელიც ითვალისწინებს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ინჟინერიის მიმართულებით ახალი პროგრამების იდენტიფიცირებას და დამატებას. დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ 2019 წლის სექტემბერში შედგა შეხვედრა „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის“ წარმატებული კურსდამთავრებულებისა და დაინტერესებულ პირებთან ქ.ვალეს ახალგაზრდული კლუბის წევრებთან. შეხვედრის დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამა მეტად წარმატებულია, სპეციალობის დაუფლების მსურველთა რაოდენობრივი მაჩვენებელი მაღალია, შრომის ბაზარზე მოთხოვნა მზარდია კურსდამთავრებულებზე, როგორც კერძო სექტორში და ასევე თვითდასაქმებაშიც. პროგრამა ითვალისწინებს ზოგად სავალდებულო და პროფესიულ მოდულებს. პროგრამის მიზანია მოამზადოს სამკერვალო წარმოებისთვის კონკურენტუნარიანი კადრი, რომელიც დააკმაყოფილებს დამსაქმებელთა მოთხოვნებს და იქნება თავისი საქმის პროფესიონალი. პროგრამის განხორციელებისათვის კოლეჯს გააჩნია შესაბამისი A, B C გარემო, სათანადო აღჭურვილობა და ადამიანური რესურსი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის საფუძველი არის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (პროექტის) შემუშავება ხდება დარგობრივი კათედრების სხდომებზე დირექტორის მოადგილის უშუალო ხელმძღვანელობით და მტკიცდება დირექტორის მიერ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.
პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სამკერვალო წარმოება“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა, შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით მოთხოვნილ წინაპირობასთან - საბაზო განათლება და უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიულ პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება პროფესიული ტესტირების შედეგების და დაწესებულებაში დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების ჩარიცხვა ხდება პროფესიის მოსინჯვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

საფუძველზე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობას განსაზღვრისას ითვალისწინებს განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი ფართის არსებობას, საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელ გარემოს, ბიბლიოთეკის ფონდს, მატერიალურ რესურსებს.

პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია მოდულის სწავლის შედეგებთან. მოდულებში მითითებულია ყველა სავალდებულო ლიტერატურა, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“ არ ითვალისწინებს არჩევითი მოდულებს.

საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

6. კოლეჯის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამის **დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორი**. საგანმანათლებლო პროგრამა განხილულია დარგობრივი კათედრის სხდომაზე და დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ დირექტორის N24 ბრძანებით (29.05.2020 წ.)

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

7. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის სახელწოდება ,,სამკერვალო წარმოება“ იდენტურია საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდების, ამიტომ შეესაბამება პროგრამის შინაარსს, წინასწარ დაგეგმილ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - „სამკერვალო წარმოება“, საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია მისანიჭებელი კვლიფიკაცია, პროგრამის მიზნები, მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლის მეთოდები და შეფასების მიმართულებები. საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი დამტკიცებული „დირექტორის ბრძანებით # 42 31/05/2019 წელი მუხლი. 3 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება“
- დაწესებულების მისია
- დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა
- დარგობრივი კათედრის სხდომის ოქმი #.6.25.05.20 20 წ
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი დირექტორის 2020 წლის # 24. ბრძანება 29.05.2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- სსიპ „ოპიზარი“ „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი„ დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით #42 31/05/2019 წელი მუხლი 39. „კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია“
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/ მოდულები;
- საგანმანათლებო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა;
- ინტერვიურებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პს დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ იქნა შემოწმებული შესაბამისი საგანმანათლებლო სივრცეები და მატერიალური რესურსი, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამისათვის „სამკერვალო წარმოება“ გამოყოფილია ორი საგანმანათლებლო სივრცე - A/C და B გარემო.

A/C გარემოსთვის გამოყოფილია ერთი სივრცე, რომელიც აღჭურვილია C გარემოსთვის 14 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი საჭირო ინვენტარით, სამუშაო მაგიდითა და სკამებით, რომელებზეც განთავსებულია საყოფაცხოვრებო დანიშნულების საკერავი მანქანა. გამომდინარე იქედან, რომ A და C გარემო წარმოდგენილია ერთ სივრცეში, A გარემოს სამუშაო მაგიდების გასათავისუფლებლად, მუდმივად ხდება საჭირო საკერავი მანქანების გადაადგილება.

რაც შეეხება B გარემოს, 20 პროფესიულ სტუდენტზე სრულად არის აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით.

საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრულია 42 პროფესიული სტუდენტი. გასაუბრებისას დაზუსტდა, რომ დაწესებულება ერთ მიღებაზე აპირებს ორი ჯგუფის მიღებას. ჯგუფი დაკომპლექტებული იქნება 14 პროფესიული სტუდენტით.

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება დაწესებულების გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან (42 პროფესიული სტუდენტი) მიმართებაში. *აღნიშნულ საკითხზე ექსპერტთა დასაბუთება იხილეთ დასკვნის ბოლოს.*

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმებულ იქნა დაწესებულების, აგრეთვე პრაქტიკის ობიექტებზე არსებული მატერიალური რესურსები, რის საფუძველზეც ვერ დასტურდება შესაბამისი აღჭურვილობის ქონა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადში (დანართი 1), მატერიალური რესურსების ჩამონათვალის დასახელებები არ შეესაბამება ვიზიტის დროს დათვალიერებულ მატერიალურ აღჭურვილობას. კერძოდ:

ერთ ნემსიანი მაქური გვირისტის უნივერსალური საწარმოო საკერავი მანქანის ნაცვლად, ადგილზე დაგვხვდა, *საყოფაცხოვრებო დანიშნულების ელექტრო მექანიკური საკერავი მანქანა. როგორც წესი, საყოფაცხოვრებო ტიპის მანქანას*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ერთდროულად ბევრი ფუნქცია აქვს, თუმცა სპეციფიკაციებიდან გამომდინარე მას არ შეუძლია ყველა სახის ქსოვილზე მუშაობა და სრულყოფილად ნაწარმის ტექნოლოგიური დამუშავება. ***საწარმოო მანქანა*** *კი ორიენტირებულია ერთ-ერთ კონკრეტულ ფუნქციაზე, თუმცა ამ ფუნქციას იგი ასრულებს მეტად ხარისხიანად და ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ამიტომ, საჭიროა დაწესებულება შეიძინოს* ***ერთ ნემსიანი მაქური გვირისტის უნივერსალური საწარმოო საკერავი მანქანა*** *რის შედეგადაც, ასევე შესაძლებელი იქნება საწარმოო პრაქტიკის ადგილზე დაწესებულებაში გავლა, ვინაიდან პრაქტიკის ობიექტზე არსებული მატერიალური რესურსის რაოდენობა და ობიექტის სიმძლავრე ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. რაც შეეხება განაცხადში წარმოდგენილ დანარჩენ საკერავ მანქანებს, მათი შეძენის აუცილებლობა არ არის, ვინაიდან შესაძლებელია ისინი ჩანაცვლდეს, სწორედ იმ საყოფაცხოვრებო მანქანებით, რომელიც უზრუნველყოფს ყველა იმ ოპერაციის შესრულებას რასაც ცალკეული მანქანები ასრულებენ.*

დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს გაიზიარეს ექსპერტთა მოსაზრებები და აღნიშნეს, რომ ადრეც სურდათ ***ერთ ნემსიანი მაქური გვირისტის უნივერსალური საწარმოო საკერავი მანქანების*** *შეძენა, მაგრამ* COVID-19 *გავრცელების შედეგად შექმნილი* ვითარების გამო ვერ მოხერხდა შესყიდვების პროცესის განხორციელება, თუმცა მომწოდებელ კომპანიასთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს და სასწავლო პროცესში აღნიშნული საკერავი მანქანების გამოყენების აუცილებლობის დადგომამდე (სავარაუდოდ ექვს თვეზე ნაკლებ დროში) შეძლებენ საჭირო მანქანების შეძენას, რათა საფრთხე არ შეექმნეს პროგრამის განხორციელებას.

რეკომენდაცია მიეცეთ დაწესებულებამ შეიძინოს დანართი №1 „სასწავლო გარემოს და მინიმალური მატერიალური რესურსი“ განსაზღვრული, 14 ცალი ერთ ნემსიანი მაქური გვირისტის უნივერსალური საწარმოო საკერავი მანქანა სასწავლო პროცესში აღნიშნული საკერავი მანქანების გამოყენების აუცილებლობის დადგომამდე (სავარაუდოდ ექვს თვეზე ნაკლებ დროში) ამასთანავე, ვინაიდან პრატიკის ობიექტი (მისი მცირე სიმძლავრის გამო) ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგის სრულად მიღწევას, ასევე შესაძლებელი იქნება მოდულის „საწარმოო პრაქტიკა“ ადგილზე, დაწესებულების C გარემოში გავლა.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა <u>მეტწილად უზრუნველყოფილია</u> დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი. სპეციალიზაციის მოდულების განსახორციელებლად, დარგის მასწავლებლად განსაზღვრულია 4 პროფესიული მასწავლებელი. პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა, მათი შესაბამისობა პროფესიული სტუდენტების რაოდენობასთან და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების და მათზე დაკისრებული ფუნქცია - მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას, რითაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა. მათი საკონტაქტო საათების დატვირთვა ერთი პროგრამის მიზნებისათვის სასწავლო გეგმის მიხედვით 2 ცვლიანი სწავლების პირობებში კვირაში არ აღემატება 40 საათს.

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეები და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები. პროგრამის განმახორციელებლი პერსონალისკვალიფიკაცია და მათი სამუშაო გამოცდილება სრულად შეესაბამება პროგრამის განხორციელების სპეციფიკას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები აღჭურვილი არიან სწავლებისა და შეფასების სათანადო კომპეტენციით, აღნიშნული კომპეტენციები მათ უდასტურდება შესაბამისი კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პროფესიული/პედაგოგიური გამოცდილებით და გავლილი ტრენინგებით.

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციები და საჭირო უნარები (დირექტორის ბრძ.N34; 01.07.2020) დაწესებულების „პერსონალის სამსახურში მიღების წესის“(დამტკ. 10.07.2014წ; ბრძ. N03; ცვლ. 24.08.2018; ბრძ.N72 და 17.06.2020წ;ბრძ. 31)მუხლი8. პროგრამის ხელმძღვანელს ირჩევს დარგობრივი კათედრა და გაწერილია მისი უფლებამოსილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ორი ხელმძღვანელი. მათი შერჩევა მოხდა შესაბამისი დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილებით. ვიზიტისას, ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელებს, შემოწმდა მათი პირადი საქმეები. პროგრამის ხელმძღვანელებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას განაცხადეს, რომ ისინი ჩართულები იყვნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, იცნობენ მოდულის სპეციფიკას (ზოგად, სტანდარტულ და დამხმარე ჩანაწერებს), შეფასების ფორმებს და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაც არაა მათთვის უცხო.

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებობს წიგნადი ფონდი, რომლის ნაწილი გამოიყენება სასწავლო მიზნებისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ სასწავლო რესურს (ლიტერატურას). საგანმანათლებლო)პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული სახით, ასევე მატერიალური სახით, კოლეჯის სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია ინტერნეტით და სათანადო ინვენტარით: კომპიუტერები და პრინტერი.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად რაც დასტურდება სსიპ კოლეჯის ,,ოპიზარის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესით ,,დირექტორის ბრძანებით N42 31.05.2019 წელი ,,სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები“ მუხლი. ამ წესით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის:სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. კოლეჯში მოწყობილია გარე პანდუსით და აღჭურვილია ლიფტით, შესაბამისად კოლეჯის ტერიტორიაზე შშმ პირს აქვს შეუზღუდავი გადაადგილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, ისინი აცნობიერებენ და აქვთ მზაობა საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს სასწავლო რესურსების ადაპტირება სსსმ პირების მოთხოვნილებების შესაბამისად; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების დადასტურების შემთხვევაში ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას გონივრულ ვადებში შეადგენს კონკრეტული მოდულის განმახორციელებელი მასწავლებელი ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან ერთად. ხარისხის მართვის მენეჯერი შეამოწმებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და დასამტკიცებლად წარუდგენს დაწესებულების ხელმძღვანელს. საქართველოს განათლების, მეცნიერების,კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნის ანალიზის (მტკიცებულებების) საფუძველზე, ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდამხარდამჭერი გუნდის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად,სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის დირექცია უზრუნველყოფს საჭირო დამატებითი სპეციალისტების დაქირავებასა და ადაპტირებული სასწავლო რესურსის შეძენას. დამატებითი მომსახურების თანხა დაიფარება ,,დანამატი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის“ გამოყოფილი თანხიდან.

სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. ვიზიტისას კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ ბიუჯეტი, სადაც ასახულია შემოსავლები და ხარჯები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“ ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ როგორც პროგრამული, ისე ვაუჩერული დაფინანსებით. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მოიცავს ადმინისტრაციის და სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯებს (სუფსიდია) და პროფესიული განათლების მაწავლებლების ხელფასები და სასწავლო მასალების ხარჯებს (ვაუჩერი).

პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები;
- პროგრამის განმახორციელებელ პირთან და კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით;
- პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეებით;
- პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით;
- დარგობრივი კათედრის სხდომის ოქმით #3 02.03.2020წ.;
- სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“,სასწავლო პროცესის რეგულირების წესი „დირექტორის ბრძანებით # 42 31/05/2019 წელი „სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები“
- სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ დირექტორის ბრძანებით #34 (01.07.2020წ) დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ 2020 წლის 03 თებერვლის #05 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

დაწესებულების "სასწავლო პროცესის რეგულირების წესი" (დამტკ. 31.05.2019; ბრძ. N42) და „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი" (ბრძ. N15; 06.03.2020წ) რომელიც მოიცავს ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" ითვალისწინებს კოლეჯის მიერ კერძო სექტორთან მუდმივი თანამშრომლობისა და განხორციელებული მოკვლევის საფუძველზე კოლეჯში ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების ინიციატივას. კოლეჯის დარგობრივი კათედრები კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე იწყებს ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას და /ან ახორციელებს არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირებას. პარტნიორ დამსქმებლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით დაწესებულებამ შეიმუშავა ახალი კითხვარი და განახორციელებს მის დატესტვას; ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასებასისა და საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების საჭიროებების გამოვლინების უზრუნველყოფა: ლექციებზე ურთიერთდასწრების, გამოცდილებათა გაზიარების, გაკვეთილზე დასწრების კითხვარით მეცადინეობის ანალიზით, კურსდამთავრებულების, პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლების გამოკითხვით, რეკომენდაციები გაცემით.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

დაწესებულებას „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“ (დამტკ. 31.05.2019; ბრძ. N42) შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესები;

პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულის განმახორციელებელ ნებისმიერპირს, პროფესიულისაგანმანათლებლოპროგრამებისდანერგვისმხარდაჭერისჯგუფისწევრ(ებ)ს, რის შედეგადაც განიხილება დარგობრივი კათედრის სხდომაზე.

პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტში უნდა განისაზღვროს სამართლებრივი აქტის ამოქმედების ვადა და სასწავლო ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ვერ გავრცელდება აღნიშნული ცვლილება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- “სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ (დამტკ. 31.05.2019; ბრძ. N42; ცვლ.ბრძ.N136 31.12.2019 წ.)
- „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი“(ბრძ. N 15; 06.03.2020წ);
- გამოკითხვის კითხვარები;
- ინტერვიუ ხარისხის მართვის მენეჯერთან.
-

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

☐ მეჯერილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია სასწავლო გეგმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სამკერვალო წარმოება“, სადაც მოდულების სწავლების თანმიმდევრობა ლოგიკურადაა განსაზღვრული. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ „სამკერვალო წარმოება“ პროგრამის სასწავლო გეგმის და საათების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

განაწილების შესაბამისად შემუშავდება გაკვეთილების განრიგი - ცხრილი. სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია მოდულით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა.

თუმცა, მაინც სასურველია სასწავლო კურსი „რაოდენობრივი წიგნიერება“ ისწავლებოდეს არა 39 კვირიდან, არამედ თავიდანვე პირველივე სასწავლო კვირეებიდან, ვინაიდან მიუხედავად იმისა, რომ მოდული „რაოდენობრივი წიგნიერება“ არ არის მოდულის „ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება და მოდელირება“ წინაპირობა, მაინც საჭიროა პროფესიულმა სტუდენტმა ჯერ შესაბამისი კომპეტენციები დააგროვოს რაოდენობრივ წიგნიერებაში და შემდგომ შეუდგეს ტანსაცმლის კონსტრუირებისა და მოდელირების შესწავლას. აღნიშნულ რეკომენდაციას იზიარებენ პროგრამის ხელმძღვანელები და შესაბამისად უმოკლეს დროში შეიტანენ ცვლილებას სასწავლო გეგმაში.

რეკომენდაცია მიეცეთ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში განახორციელონ ცვლილება და მოდულის „რაოდენობრივი წიგნიერება“ სწავლება დაიწყონ არა 39 კვირიდან, არამედ 1კვირიდან, რათა მოდულის „ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება და მოდელირება“ დაწყებამდე მოხდეს მოდულის „რაოდენობრივი წიგნიერება“ გარკვეული სწავლის შედეგების მიღწევა.

2. კოლეჯი წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. დასაქმებული სტუდენტების ერთ ჯგუფში გადანაცვლება და მათთვის ხელსაყრელი დროის მორგება, სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანა და სხვა ფაქტორები მათთვის სხვა მოქმედი პროგრამების განხორციელების დროს არსებული პრაქტიკაა.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდების და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ დაწესებულება ზრუნავს მათ გადამზადებაზე სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Erase Free
და თანამედროვე ტექნოლოგიებზე. აღნიშნული ტრენინგები ტარდება როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ასევე კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ. აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებმა პირად საქმეებში წარმოდგენილია შესაბამისი სერთიფიკატები. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით მეცადინეობების მსვლელობაში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები და ვიზუალური ელექტრონული მასალები.

4. „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“ (დამტკ. 31.05.2019; ბრძ. N42; ცვლ.ბრძ.N136 31.12.2019 წ.) მუხლი 18³ა, საჭიროების შემთხვევაში მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე სსსმ პირებისათვის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის პროფესიული მასწავლებელი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან ერთად შეადგენს მოდულების/ ინდივიდუალური შეფასების ინსტრუმენტს, სადაც გათვალისწინებული იქნება სტუდენტის საჭიროება (ნაწილობრივ დაქვეითებული სმენადობის, მხედველობის და სხვა.

“სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ პუნქტი 25.14; 27.10, 28.4, 30.3 -ით განსაზღვრულია, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის სხვა საჭიროებებიც, კერძოდ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შესაძლებლობა შეიძლება დადგეს როცა პროფესიულ სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, მობილობის, ფორმალური განათლების აღირების და პროგრამაში ცვლილებების/გაუქმების შემთხვევაში. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/ქმედუუნარო/შეზღუდულქმედუნარიანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში შესაძლოა ჩართულ იქნას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსაზღვრულ უნდა იქნას მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ვადის ფარგლებში.

5. პსდ საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ განახორციელებას აპირებს მოდულური მიდგომით და შესაბამისად პროგრამის მოდულების პრაქტიკული შედეგების მიღწევა ძირითადად იგეგმება კოლეჯის C გარემოში. მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა“ ფარგლებში ინფოტურის მოწყობა და მოდულის „საწარმოო პრაქტიკა“ განახორციელება იგეგმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პრაქტიკის ობიექტზე, რაც დასტურდება პარტნორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით: ხელშეკრულება#20 02.05.2020 შპს „ მატერია“-სთან; ხელშეკრულება #24 02.05.2020 სამკერვალო სალონთან „ახალი მოდა“.

თუმცა, აღნიშნული ობიექტების სიმძლავრე ვერ უზრუნველყოფს მათ ბაზაზე ერთჯერადად 14 პროფესიული სტუდენტის მიღებას, ამასთანავე ვინაიდან რეგიონში არ არის სამკერვალო მიმართულების არცერთი სამრეწველო საწარმო, სადაც სტუდენტები შეძლებენ რეალურ გარემოში გაეცნონ სამკერვალო წარმოებას და გაიარონ საწარმოო პრაქტიკა, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ აუცილებელია დაწესებულებამ შეიძინოს დანართი №1 „სასწავლო გარემოს და მინიმალური მატერიალური რესურსი“ განსაზღვრული, 14 ცალი ერთ ნემსიანი მაქური გვირისტის უნივერსალური საწარმოო საკერავი მანქანა და ვინაიდან პრაქტიკის ობიექტი ვერ უზრუნველყოფს (მისი მცირე სიმძლავრის გამო) სწავლის შედეგების სრულად მიღწევას, შესაძლებელი იქნება მოდულის „საწარმოო პრაქტიკა“ ადგილზე დაწესებულების C გარემოში გავლა, ხოლო მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ ფარგლებში სასურველია განხორციელდეს გასვლითი (რეგიონს გარეთ) მიზნობრივი ექსკურსია სამკერვალო საწარმოში, ვინაიდან რეგიონში არ არსებობს ამის შესაძლებლობა.

რეკომენდაცია მიეცეთ დაწესებულებამ შეიძინოს დანართი №1 „სასწავლო გარემოს და მინიმალური მატერიალური რესურსი“ განსაზღვრული, 14 ცალი ერთ ნემსიანი მაქური გვირისტის უნივერსალური საწარმოო საკერავი მანქანა და ვინაიდან პრატიკის ობიექტი ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგის სრულად მიღწევას, შესაძლებელი იქნება მოდულის „საწარმოო პრაქტიკა“ ადგილზე დაწესებულების C გარემოში გავლა.

რეკომენდაცია მიეცეთ მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ ფარგლებში განხორციელდეს გასვლითი (რეგიონს გარეთ) მიზნობრივი ექსკურსია სამკერვალო საწარმოში, ვინაიდან რეგიონში არ არსებობს ამის შესაძლებლობა.

<u>კოლეჯს პროგრამის სრულყოფილად განხორციელების მიზნით პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება.</u>

6. კოლეჯში უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემო, სასწავლო პრაქტიკის ობიექტი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო ინვენტარით, სასწავლო გარემოში გამოკრულია მედდის საკონაქტო ინფორმაცია. უსაფრთხო სწავლება უზრუნველყოფილი იქნება ასევე პრაქტიკის ობიექტზე,რაც დასტურდება პრაქტიკული კომპონენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

განმახორციელებელ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით. უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად პრაქტიკული მეცადინეობის დაწყების წინ პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარდებათ ინსტრუქტაჟი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო გეგმა დანართი 1.1. # 24 ბრძანება 29.05.2020 წ;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი და ფაქტობრივი მდგომარეობა;
- ინტერვიუებით

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

1. პროფესიულ სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დირექტორის 31/05/2019 წლის #42 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესი“ მიხედვით. რომელიც ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებასა და შიდა მონიტორინგს, მტკიცებულებების შეგროვებასა და შენახვას, შეფასების პროცესის ადმინისტრირებას, შეფასების შედეგების გაცნობას პროფესიული სტუდენტისათვის, განმეორებით შეფასების წესებსა და შეფასების გასაჩივრების რეგულაციებს, დაწესებულების „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი“ (ბრძ. N 15; 06.03.2020წ) ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმეტის ვალიდაციას, რომელსაც ახორციელებს შიდა ვერიფიკატორის ჯგუფი. შიდა ვერიფიკატორები ვალდებულნი არიან განიხილონ შეფასების ინსტრუმენტების პროექტები, შეითანხმონ ან შენიშვნებით და წინადადებებით გაუწიონ რეკომენდაცია გონივრულ ვადაში. რაც უზრუნველყოფს ვალიდური, სანდო, მოქნილი, მარტივი, გამჭვირვალე, სამართლიანი შეფასენის სისტემას და საშუალებას იძლევა მიღწეელ იქნას საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების გათვალისწინებით პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგები.

2. ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, დარგის სპეციალისტი / მასწავლებელი წარმოადგენენ შიდა შემმოწმებლებს (შიდა ვერიფიკატორებს) და სწავლის შედეგების დადასტურებამდე მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებენ შეფასების ინსტრუმენტს, თუ რამდენად თავსებადია მოდულით განსაზღვრულ შემდეგ მიმართულებასთან:

ა) არის თუ არა სტუდენტის შეფასების ფურცელში ნათლად გაწერილი თუ რა სახით და როდის უნდა მოხდეს სტუდენტის მიერ დავალების შესრულების წარდგენა;

ბ) არის თუ არა დავალება ნათელი და გასაგები თითოეული სწავლის შედეგისათვის;

გ) აქვს თუ არა დავალებას შესრულების შესაბამისი მოკლე, წერილობითი ინსტრუქცია;

დ) დავალებები მოიცავს თუ არა ყველა სწავლის შედეგის ყველა შესრულების კრიტერიუმს;

ე) არის თუ არა შესაბამისობაში დავალება და დავალების შესრულების წარმოსადგენი მტკიცებულება;

ვ)სტუდენტმა რა სახით და როდის უნდა წარმოადგინოს სწავლის შედეგების/შესრულების კრიტერიუმების დადასტურება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ყოველი ახალი ჯგუფის შეფასების წინ მოხდება წინა შეფასებების განხილვა და წინა შეფასების შედეგად გამოვლენილი ხარვეზებისა და შენიშვნების გათვალისწინება.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

<u>თუმცა,</u> დამტკიცებული რეგულაციით იკვეთება ავტორიზაციის სტანდარტის 4.1.1. კომპონენტის მე-3 ინდიკატორის დარღვევა, არაა დაცული ინტერესთა კონფლიქტი, ხარისხის მართვის მენეჯერი არ უნდა იყოს ჩართული შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების პროცესში სწავლის შედეგების დადასტურებამდე, ხარისხის მართვის მენეჯერმა უნდა შეასრულოს მაკონტროლებელის ფუნქცია, ასევე ვერიფიკაციის პროცესში არ უნდა იყოს ჩართული მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი.

<u>დაწესებულებამ ვერიფიკაციის მექანიზმი შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ავტორიზაციის სტანდარტის 4.1.1. კომპონენტთან.</u>

<u>რეკომენდაცია მიეცეთ</u> დაწესებულებამ გადახედოს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესში“ გაწერილ ვერიფიკაციის მექანიზმს და ვერიფიკაციის პროცესის ქმედითობისათვის გამიჯნოს ვერიფიკაციის ეტაპებისთვის პასუხისმგებელი პირები.

3. შეფასების მტკიცებულებები სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამიტომაც მათი მოპოვების, აღრიცხვის, შენახვის და განკარგვის წესი შემუშავებულია კოლეჯის მიერ **(სწავლის შედეგების შეფასების წესი. დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 მაისის # 42 ბრძანებით.**). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ცოდნის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების / ინფორმაციის / მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები უვადოდ.

4. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენება მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სწავლის შედეგების შეფასების წესი. დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 მაისის # 42 ბრძანებით.
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტუმენტების სარეკომენდაციო ფორმა და უწყისების ფორმები დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 მაისის # 42 ბრძანებით.კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
- გასაჩივრების დამტკიცებული პროცედურები.
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	28 პროფესიული სტუდენტი, მოდულური, ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. № 111

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

PDF Eraser Free

დასაბუთება

დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად აქვს ერთი A/C გარემო 14 სტუდენტზე და მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა აქვს 42 (14 -14 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში ერთ მიღებაზე და მომდევნო მიღებაზე კიდევ 14 პროფესიული სტუდენტის მიღება იგივე გარემოში, რადგან ამ დროს წინა მიღების სტუდენტების პრაქტიკის ობიექტზე გასვლა იგულისხმება)

ექსპერტთა ჯგუფი არ დაეთანხმა აღნიშნულ გათვლას, ვინაიდან მათი რეკომენდაციით სასწავლო გარემოში 14 სამრეწველო საკერავი მანქანის შეძენის შემთხვევაში:

1. **შეუძლებელია იმ სივრცის A/C გარემოდ დატოვება, რადგან საკერავი მანქანები თავისივე სადგამითაა, ამიტომ მანქანის სადგამის გამოყენება სტუდენტის სამუშაო მაგიდად A გარემოთვის შეუძლებელი იქნება. ამიტომ პროგრამისთვის A გარემო დამოუკიდებლად უნდა მოეწყოს.**
2. **ამასთანავე, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე გაიცა რეკომენდაცია, რომ მოდული „საწარმოო პრაქტიკა“ ასევე აღნიშნულ C გარემოში უნდა ჩატარდეს, ამიტომ ექსპერტთა მოსაზრებით შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს არა 42 პროფესიული სტუდენტით, არამედ 28 პროფესიული სტუდენტით, 14 -14 პროფესიული სტუდენტი ან ორ ცვლაში ან ორ მიღებაზე.**

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად

23.07.2020წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---